საარჩევნო პროცესებში ელექტრონული ტექნოლოგიის გამოყენების პერსპექტივა და გამოწვევები საქართველოში

საბა სალაყაია

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების მაგისტრის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მერაბ ლაბაძე, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2023

ანოტაცია

თანამედროვე ტექნოლოგიის ხანაში, მსოფლიოში სახელმწიფოებს ეძლევათ შესაძლებლობა განავითარონ, შექმნან, დანერგონ პრეცენდენტი სხვადასხვა სფეროში. მათ შორის არის არჩევნებიც სადაც შესამჩნევად მნიშვნელოვანი ხდება თანამედროვე ტექნოლოგიების როლი. მრავალი სახელმწიფოსთვის უკვე კარგად ნაცნობია ელექტრონული ხმის მიცემის სისტემის სტრუქტურა და შედეგები საარჩევნო პროცესზე.

ამ გზის გავლა უწევს ამ ეტაპზე საქართველოს, სადაც არის უამრავი გამოწვევა და გარკვეული რისკებიც კი, თუმცა მნიშვნელოვანია პროცესების სწორად წარმართვისთვის საზოგადოების მხრიდან მაქსიმალური ჩართულობა და კომუნიკაცია.

უნდა აღვნიშნოთ რომ ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესში არჩევნების დარღვევების გარშე ჩატარება ჩვენი პრიორიტეტი უნდა იყოს, განსაკუთრებით იმ პირობებში როცა ქვეყანამ უნდა შეასრულოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მოპოვებისთვის წარდგენილი პუნქტები, სადაც არჩევნების სამართლიანად და დემოკრატიულად ჩატარება ერთ-ერთ პუნქტად არის გამოყოფილი.

კვლევის მიზანს წარმოადგენს, გავაანალიზოთ საქართველოში ელექტრონული არჩევნების პერსპექტივა, არსებული რისკები, გამოწვევები და სისტემური უპირატესობები.

ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვის უპირატესობების გამოსაკვეთად, კვლევაში გავაანალიზებთ საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების შეფასებებს, მოვიყვანთ უკვე არსებულ მაგალითებს ევროპული სახელმწიფოებიდან, განვიხილავთ საარჩევნო ადმინისტრაციის სპეციალისტთა კომენტარებს და მოსაზრებებს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.

Annotation

In the age of modern technology, countries in the world are give opportunities to develop, create, implement precedents in various fields. Among them are elections where the role of modern technologies become noticeably important. Many countries are already familiar with the structure of the electronic voting system and it's effects on the electoral process.

Georgia has to go through this road at this stage, where there are many challenges and even some risks, however, maximum involvement and communication from the public is important for the proper management of the processes.

It should be noted that in the process of democratization of the country, conducting elections without violations should be our priority, especially in those times when the country must fulfill the points presented for obtaining the status of a candidate for the European Union, where the proper and democratic holding of elections is allocated as one of the points.

The aim of the study is to analyze the prospects of electronic elections in Georgia, the associated risks, challenges and systemic advantages.

In order to highlight the advantages of introducing internet and advanced computers, in the research we will analyze the evaluations of international and local organizations, we will cite already existing examples from European states, we will consider the comments and opinions of election administration specialists regarding this issue.